ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

22 ივნისი, შაბათი, 1991 წ.
№ 116 (10 529) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„ბროლის ბურთა“

ასე ეწოდებოდა ლვოვში პირველად გამართულ საერთაშორისო ტურნირს მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელშიც მონაწილეობდნენ ისრაელის, კაუნასის, ტალინის, დუშანბეს, ლვოვისა და თბილისის წარმომადგენლები — სულ 50 სპორტსმენი. ჩვენი გუნდი (მწვრთნელი ნელი სალაძე) შეჯიბრებაზე ხუთი სპორტსმენით იყო წარმოდგენილი.

განსაკუთრებით კარგად გამოვიდა ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე 16 წლის თბილისელი მოსწავლე ეკა მეიშვილი. მან დამაჯერებლად გაიმარჯვა მრავალჭიდშიც (38,6 ქულა) და ოთხივე სახეობაში. აღსანიშნავია, რომ გურზებით ვარჯიშში ეკამ ქულათა მაქსიმუმი მიიღო — 10. ე. მეიშვილმა მართლაც გააოცა მაყურებელი, რომელმაც მას მხურვალე ოვაცია გაუმართა.

ოსტატობის კანდიდატთა შორის ყველას ასევე ქართველმა სპორტსმენმა აჯობა — 14 წლის რუსთაველმა მოსწავლემ ნინო წიკლაურმა (მწვრთნელი ლიუდმილა სოფრომაძე) 37,38. ნინო პირველი იყო აგრეთვე გურზებით ვარჯიშში.

მრავალჭიდში მეორე ადგილზე გავიდა 11 წლის თბილისელი მოსწავლე ეკა აბრამია — 37,45. ეკამ მოიგო ორი სახეობა— რგოლით და ბურთით ვარჯიშები.

ეკა ტალახაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: ეკა მეიშვილი.

გამოხმაურება

გულს იმედი ჩაგვესახა...

რამდენიც გნებავთ, იმდენია იმის მაგალითი, როცა მავანისა და მავანის მფარველობით, სპორტსმენთა სიებითა და შეღავათებით, უმაღლეს სასწავლებლებში მოხვედრას ახერხებდნენ ახალგაზრდები, რომლებსაც გასტუდენტების დღიდან სპორტისკენ გახედვაც არ უნდოდათ და სწავლაშიც არაფრით გამოირჩეოდნენ. ერთი სიტყვით, სპორტისთვისაც დაკარგულნი იყვნენ და მეცნიერებისთვისაც,

მაგრამ, ხომ იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც სპორტში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს და სტუდენტობისა და შემდგომ პერიოდშიც მისი ერთგულები დარჩნენ, ღირსეულად იცავდნენ რესპუბლიკის პრესტიჟს. ბევრი უმაღლესი განათლების მიღების მერეც სპორტში საქმიანობდა და შესანიშნავი სპეციალისტიც დადგა.

საქართველოს მოსწავლეებისთვის უკანასკნელ საკავშირო სპარტაკიადაზე, ჩვენი რესპუბლიკა შესანიშნავად გამოვიდა. მარტო ის რად ღირს, რომ ჭიდაობის ოთხივე სახეობაში გუნდური პირველობა მოვიპოვეთ, საერთო ჯამში კი ოქროს მედლების ჩვენთვის სარეკორდო მოსავალი მოვიმკეთ. განა ეს იოლი იყო?! სპორტში დაუღალავ ვარჯიშს სასკოლო საგნების ათვისებისთვის მართლაც მნიშვნელოვანი დრო მიჰქონდა, დანაკარგის ასანაზღაურებლად, ასე ვთქვათ, დღე-ღამეს ვასწორებდით, მაგრამ, იქნებ მაინც ჩამოვრჩით ზოგიერთებს, ვინც მთელ დროს უმაღლესში ჩასაბარებელი საგნების სწავლას ანდომებდა.

ცნობამ იმის შესახებ, რომ სპორტსმენთა სიები, ოქროს მედალი აღარ იძლევა უპირატესობას, ძალიან დაგვაღონა, მაგრამ ბატონ მურთაზ მნათობიშვილის წერილმა, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკამ“ დაბეჭდა, ერთთავად იმედი ჩაგვისახა, რომ ღირსეულებს, ვისაც თავისი ასაკის შესაბამისი წვლილი აქვს შეტანილი რესპუბლიკის სპორტის დიდებაში, მისაღებ გამოცდებზე ერთგვარ შეღავათებს გაუწევენ.

ეჭვი ნურავის შეეპარება: მოწოდებით სპორტსმენი, შრომას მიჩვეული ახალგაზრდა უმაღლესი სასწავლებლის პროგრამასაც დაძლევს და საუკეთესონი მეცნიერულ მუშაობაზეც არ იტყვიან უარს. ვფიქრობთ, იმით, რაც ვთქვით, ყველა მოსწავლე-სპორტსმენის ნებას გამოვხატავთ.

ალექსანდრე ღვინიაშვილი, მამუკა ლუზარაული, დათო სირაძე, ლევან ბაბუნია,
მოსწავლეთა ბოლო საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონები ჭიდაობაში.

„საჭადრაკო სპრინტში“ იმარჯვეს

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა პირველი ლიგის ტურნირის მეორე ეტაპმა გამოავლინა ის ოთხი მოჭადრაკე, რომლებიც უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ.

შეჯიბრებაში 7 მოჭადრაკე მონაწილეობდა და, ბუნებრივია, ასეთ მცირე „დისტანციაზე“ ყოველი ტურის შედეგს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ „საჭადრაკო სპრინტს“. შესანიშნავად გაართვა თავი თბილისელმა ოსტატობის კანდიდატმა რევაზ კაკაბაძემ, რომელმაც დაუმარცხებლად განვლო ტურნირი და 4 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. 3,5-3,5 ქულით II-IV ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა შოთა კუპუხიძემ (ქუთაისი), კახა შალამბერიძემ (თბილისი) და გიზო ჰურღულიამ (ზუგდიდი).

გრიგოლ მამფორია

სასიამოვნოც, სამწუხაროც...

სპორტის ნებისმიერ სახეობაში წარმატება და წარუმატებლობა მის მესვეურთა პასუხისმგებლობაზე, საქმისადმი მათ მიდგომაზეა დამოკიდებული. ეს ჭეშმარიტება არავის ესწავლება და იგი დამწყებმა მწვრთნელმაც იცის. ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ეს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ. ამიტომაც იყო, რომ თბილისში გამართულ მინიკალათბურთელთა რესპუბლიკურ პირველობაზე მხოლოდ ბათუმის, სოხუმისა და ქუთაისის ნაკრებები ჩამოვიდნენ და ისინიც ფინალის მიღმა დარჩნენ.



ტურნირს მ. კეკელიძის სახელობის ბავშვთა კალათბურთის სასახლემ უმასპინძლა. ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა დაძაბულობით, შემართებით იბრძვიან სპორტის ნებისმიერ სახეობაში მოზარდები — ყოველ ქულას და გამარჯვებას მათთვის დიდი სიხარული მოაქვს. ამიტომ არ შევუდგებით დაწვრილებით ტურნირის აღწერას. ვიტყვით მხოლოდ, რომ ფინალურ ეტაპზე გასული ოთხივე გუნდი თბილისიდან იყო და აქედან სამი (!) — თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის 58-ე საშუალო საკალათბურთო სკოლის (დირექტორი. მერაბ კეკელიძე), გუნდ „მართვედან“. რამდენჯერაც ამ სკოლის ნორჩ კალათბურთელთა მიღწევებზე თქმულა და დაწერილა, იმდენჯერ აღგვინიშნავთ, რომ აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს მოზარდებთან მუშაობა რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიო.

ადრე თუ მხოლოდ საკავშირო ჩემპიონატებში გამოსვლებით იზომებოდა ქართული კალათბურთის დონე, ახლა, მოგეხსენებათ, ჩვენი თავის ბატონ-პატრონები ჩვენვე ვართ და ერთი, თუნდაც სამი-ოთხი გუნდის იმედად ყოფნამ, სპორტის ეს სახეობა ჩვენში შეიძლება ისეთ ჩიხში მოამწყვდიოს, საიდან გამოსვლასაც წლები დასჭირდეს. დიდი სპორტის ალმასვლა კი, მოგეხსენებათ, ბავშვობიდან იწყება და დროა, ყველამ ერთად ვიზრუნოთ მომავლისათვის.

რაც შეეხება პირველობას, „მართვე-I“-ის უპირატესობა აშკარა იყო. თავიდანვე ნათელი გახდა, რომ ეს გუნდი პირველობას არავის დაუთმობდა. სასიამოვნოა, როდესაც ერთი სკოლის სამი გუნდი ფინალურ ეტაპზე ასპარეზობს, მაგრამ, სამწუხაროა, რომ სხვები ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწევენ. გადამწყვეტ შეხვედრებში „მართვე-I“-მა დაამარცხა ჯერ თანასკოლელთა გუნდი „მართვე-III“ (იგი ერთი წლით უმცროსებით იყო დაკომპლექტებული) 60:30, შემდეგ სძლია „დინამოს“ 74:24 და პირველ ადგილზე გავიდა (გუნდს ავარჯიშებენ ამავე სკოლის აღზრდილი ალეკო ქილიტაური და გამოცდილი გივი ჩინჩალაძე). „მართვე-I“-ის წევრებმა მაყურებელს თავი დაამახსოვრეს ლამაზი, მახვილგონივრული თამაშით. მეორე ადგილი დაიკავა „მართვე-II“-მ, მესამე — „დინამომ“.

ზია ბურდული

ტურნირში გამარჯვებული „მართვე-I“

ერთად დავაზუსტოთ...

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გამოსაცემად ამზადებენ ქართული სპორტის ისტორიის ამსახველ სარეკლამო ცნობარს. სწორედ ამ მიზნით „ლელომ“ დაბეჭდა სპორტის სახეობების მიხედვით საქართველოს რჩეულ ათლეტთა წარმატებების ამსახველი მასალები (უმთავრესად, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატების პრიზიორებზე). დღეს ჩვენ გთავაზობთ ანალოგიურ ინფორმაციას ევროპის ჩემპიონატების პრიზიორებზე, აგრეთვე, ზოგიერთ შესწორებას ადრე გამოქვეყნებულ მონაცემთა შესახებ მკითხველთა და სპეციალისტთა შენიშვნების საფუძველზე. (იხ. მე-2 გვ.).

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საგაზაფხულო საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლოსწინა XVIII ტურის შეხვედრები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის.

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 3:1
„იბერია“ (თბილისი) — „სულორი“ (ვანი) 4:2
„გურია“ (ლანჩხუთი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 6:3
„გორდა“ (რუსთავი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 1:3
„ქუთაისი“ (ქუთაისი) — „ივერია“ (ხაშური) 1:0
„კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 4:0
„ცხუმი“ (სოხუმი) — „სანავარდო“ (სამტრედია) 0:0
„ოდიში“ (ზუგდიდი) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:2
„მერცხალი“ (ოზურგეთი) — „დილა“ (გორი) 2:1

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 1991-1992 წლების საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების დებულებები და კალენდარი.

ჩემპიონატი დაიწყება 1991 წლის 15 აგვისტოს, პირველი წრე დამთავრდება 26 ნოემბერს.

საქართველოს რესპუბლიკის 1991-92 წლების თასის გათამაშება ჩატარდება ჩემპიონატის პარალელურად. თასის გათამაშების სამოცდამეოთხედფინალის მატჩები გაიმართება 1991 წლის 26 ივლისს და 1 აგვისტოს, ოცდამეთორმეტედფინალისა — 5 და 10 აგვისტოს, მეთექვსმეტედფინალის შეხვედრები — 3 და 26 სექტემბერს, მერვედფინალისა — 15 ოქტომბერსა და 7 ნოემბერს. თასის გათამაშების მომდევნო ეტაპები 1992 წლის გაზაფხულზე ჩატარდება.

ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფის გუნდები სათასო მატჩებში ჩაერთვებიან მეთექვსმეტედფინალიდან, პირველი ჯგუფისა — 1,32 ფინალიდან.

თასის გათამაშების მატჩებში მხედველობაში მიიღება ჩემპიონატის შეხვედრებში მიღებული დისციპლინური დარღვევები.

* * *

განმეორებით შეხვდებიან

მეათე გამოტოვებული ტურის მატჩში (უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის), რომელიც 17 ივნისს გაიმართა, ქუთაისის „ქუთაისი“ სოხუმის „ცხუმს“ მასპინძლობდა. თამაშის 84-ე წუთზე, როცა ანგარიში იყო 2:1 „ცხუმის“ სასარგებლოდ, მეტოქე ფეხბურთელებს შორის ატყდა ჩხუბი, რომლის დროს დაშავდა მთავარი მსაჯი, რის შემდეგაც, მან მატჩის გაგრძელება ვეღარ შეძლო, და თამაში შეწყდა.

20 ივნისს გამართულ სადისციპლინო კომისიის სხდომაზე განიხილეს ეს ინციდენტი. კომისიის გადაწყვეტილებით, ქუთაისის „ქუთაისი“ და სოხუმის „ცხუმი“ განმეორებით შეხვდებიან ერთმანეთს.

ინფორმაცია

პორტუგალიის ქალაქებში მიმდინარე 20 წლამდე ასაკის ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი შეხვედრები წინასწარ ქვეჯგუფებში დამთავრდა ასეთი შედეგებით: **„ა“ ჯგუფი.** ირლანდია — არგენტინა 2:2, პორტუგალია — კორეა 1:0, **„ბ. ჯგუფი.** კოტ დივუარი — მექსიკა 1:1, ბრაზილია — შვეცია 2:0; **„დ“ ჯგუფი** ესპანეთი — სირია 0:0, ინგლისი — ურუგვაი 0:0. **„ც“ ჯგუფი.** სსრკ — ტრინიდადი და ტობაგო 4:0, ავსტრალია — ეგვიპტე 1:0.

დღეს და ზვალ გაიმართება მეოთხედფინალური შეხვედრები: სსრ კავშირი — ესპანეთი, ბრაზილია — კორეა, პორტუგალია — მექსიკა, ავსტრალია — სირია.

ერთად დავაზუსტოთ, ერთად შევქმნათ სრულყოფილი მატიანე

აკრობატიკა

გია მარმარაშვილი (დ. 1964). მსოფლიო ჩემპიონატის (1985) მეორე პრიზიორი.

აფროსნობა

ზურაბ ბიბანიშვილი (დ. 1950). ევროპის ჩემპიონი (1980) „ვარსკვლავის“ კლასი.

ბატუტი

ლია ბენდიანიშვილი (დ. 1973). ევროპის ორგზის ჩემპიონი. (1990).

ველოტრეკი

ემზარ ბელაშვილი (დ. 1962). მსოფლიო ჩემპიონატების ორგზის მესამე პრიზიორი (1982 და 1988).

პეტრე ჩევარდოვი (დ. 1958). მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1979).

თავისუფალი ჭიდაობა

ანდრო ცხოვრებოვი (დ. 1939). ევროპის ჩემპიონი (1968) და მესამე პრიზიორი (1966). ძ

რაშ ხუტაბა (დ. 1951). ევროპის ჩემპიონი (1982).

რომან მარსაგიშვილი (დ. 1949). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1972).

დავით გიგაური (დ. 1958). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1983).

სერგო გაბარაევი (დ. 1929). მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1954).

ნიკოლოზ მუზაშვილი (დ. 1924). მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1954).

ვლადიმერ არსენიანი (1934-1989). მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1959).

ტარიელ ალიბეგაშვილი (1945-1991). მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1969).

თანამედროვე ხუთჭიდი

იგორ ბრიზგალოვი (დ. 1956). ევროპის თასის ორგზის მფლობელი (1985).

კალათბურთი

ალისა ასიტაშვილი (დ. 1932). ევროპის ორგზის ჩემპიონი (1954 და 1956).

ამირან სხიერელი (დ. 1941). ევროპის ჩემპიონი (1965), ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი (1962).

ბერძნულ-რომაული (კლასიკური ჭიდაობა)

ომარ ბლიაძე (დ. 1942). ევროპის ჩემპიონი (1968) და მეორე პრიზიორი (1972).

ზურაბ მაჭარაშვილი (დ. 1956). მსოფლიო თასის მფლობელი (1981).

იოსებ ბერიშვილი (დ. 1953). ევროპის ჩემპიონატების მეორე (1976) და მესამე (1974) პრიზიორი. ევროპის თასის მფლობელი (1976). მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1974).

აირაპეტ მინასიანი (დ. 1956). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1977).

ომარ ეგაძე (დ. 1939). მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1962).

კრივი

დავით კვაჭაძე (დ. 1951). ევროპის ჩემპიონი (1977).

მაგიდის ჩოგბურთი

სარქის სარხოიანი (დ. 1947). მსოფლიო ჩემპიონატების მეორე (1975) და მესამე (1973) პრიზიორი. ევროპის ხუთგზის მეორე (1966, 1968, 1970) და ორგზის მესამე (1984, 1986) პრიზიორი.

მკლავჭიდი

ზაურ ცხადაძე (დ. 1965). ევროპის ჩემპიონი (1991), მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1990).

ჯემალ მერაბიშვილი (დ. 1968). ევროპის ჩემპიონი (1991).

ბელა ბეწუაშვილი (დ. 1972). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი. (1991).

ლერი ხალლიანი (დ. 1972). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1991).

ერეკლე გურჩიანი (დ. 1965). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1991).

გია გურჩიანი (დ. 1974). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1991).

კობა თოდაძე (დ. 1973). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1991).

ზაზა გუგენიშვილი (დ. 1972). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1991).

მშვილდოსნობა

ნატო ნასარიძე (დ. 1972). ევროპის ორგზის ჩემპიონი (1990).

ხათუნა ქვრივიშვილი (დ. 1974). ევროპის ჩემპიონი და მესამე პრიზიორი (1990).

მძლეოსნობა

ანატოლი მოშიაშვილი (დ. 1950). ევროპის ჩემპიონი (1974) და მესამე პრიზიორი (1977).

ელენე გოკიელი (დ. 1918). ევროპის ჩემპიონატის მეორე და მესამე პრიზიორი (1946).

ალექსანდრე შჩერბინა (დ. 1931). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1966).

ლიუდმილა იევლევა (დ. 1941). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1968).

მხატვრული ტანვარჯიში

ირინა ჟემჩუჟინა (დ. 1963). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1980).

აკადემიური ნიჩბოსნობა

გივი ნიკურაძე (დ. 1949). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1973).

საბაიდარო ნიჩბოსნობა

ავერი მატკავა (დ. 1939). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1965).

რაგბი

ოლეგ ლიპარტელიანი (დ. 1958). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1985).

სერგო უზრეხელიძე (დ. 1960). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1985).

ნუგზარ ძაგნიძე (დ. 1967). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1989).

მამუკა ლოსაბერიძე (დ. 1962). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1989).

ევგენი ზუევი. ევროპის ჩემპიონატის ორგზის პრიზიორი (1987 და 1989).

დავით კილასონია (დ. 1951). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1978).

ბესარიონ ლილუაშვილი (დ. 1954). ევროპის ჩემპიონატების სამგზის მესამე პრიზიორი (1981, 1982, 1983).

მიხეილ ხარშილაძე (დ. 1954). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1981).

სინქრონული ცურვა

ქრისტინა ფალასანიდი (დ. 1970). ევროპის ჩემპიონი (1989) და მეორე პრიზიორი (1987). ევროპის თასის მფლობელი (1988).

ტყვიის სროლა

მარლენ პაპავა (დ. 1941). ევროპის ჩემპიონი (1971).

ალექსანდრე გორონდიანკი (დ. 1958). მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1979).

ბორის კოკორევი (დ. 1959). ევროპის ჩემპიონი (1987) და მეორე პრიზიორი (1983).

ანდრო დოლგაროვი (დ. 1968). ევროპის ჩემპიონი (1987) და ორგზის მესამე პრიზიორი.

სტენდი

თეიმურაზ მატოიანი (დ. 1949). მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1979).

კარლო დარასელია (დ. 1933). მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1967).

ფეხბურთი

მიხეილ მესხი (1937-1991). ევროპის ჩემპიონი (1960).

გივი ჩოხელი (დ. 1937). ევროპის ჩემპიონი (1960).

ოთარ გაბელია (დ. 1953). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981).

ვლადიმერ გუცაევი (დ. 1952). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981).

ვიტალი დარასელია (1957-1982). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981).

გია თავაძე (დ. 1955). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981).

ნუკრი კაკილაშვილი (დ. 1960). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981).

თამაზ კოსტავა (დ. 1956). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981).

ზაურ სვანაძე (დ. 1958). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981).

დავით ყიფიანი (დ. 1951). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981).

რამაზ შენგელია (დ. 1957). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981).

ნოდარ ხიზანიშვილი (დ. 1953). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981).

შოთა ხინჩაგაშვილი (დ. 1951). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981).

ჩოგბურთი

ალექსანდრე მეტრეველი (დ. 1944). ევროპის ოცდაერთგზის ჩემპიონი, (1970-1978) ოთხგზის (1971-1977) მეორე და სამგზის მესამე პრიზიორი.

თეიმურაზ კაკულია (დ. 1947). ევროპის შვიდგზის (1974-1978) ჩემპიონი, ორგზის მეორე და სამგზის მესამე პრიზიორი.

ლელა მესხი (დ. 1968). ევროპის ჩემპიონი (1989).

ცურვა

ალექსანდრე ტუტაკაევი (დ. 1943). ევროპის ჩემპიონი (1966). და მეორე პრიზიორი.

თინათინ ლეკვეიშვილი (დ. 1954). ევროპის ჩემპიონი და მეორე პრიზიორი (1970). ევროპის თასის მფლობელი (1969).

ვლადიმერ ლავრინენკო (დ. 1932). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1954).

ირინა გერასიმოვა (დ. 1964). ევროპის (1983) და მსოფლიო (1982) ჩემპიონატების მესამე პრიზიორი.

[illegible] (დ. 1960). ევროპის თასის მფლობელი (1976).

ძალოსნობა

მოისეი კასიანიკი (დ. 1911). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1947).

ალექსანდრე მედოევი (დ. 1962) ევროპის ჩემპიონი (1982).

ძიუდო

ანზორ მარტყოფლიშვილი (დ. 1937). ევროპის ჩემპიონი (1968).

როინ მაგალთაძე (დ. 1941). ევროპის ჩემპიონი (1968) და მესამე პრიზიორი (1969).

ოთარ ნათელაშვილი (დ. 1944). ევროპის ჩემპიონატის ორგზის მეორე პრიზიორი (1968).

ზურაბ ზოგოლაური (დ. 1944). ევროპის სამგზის ჩემპიონი (1972, 1973, 1974). ორგზის (1971, 1972), მეორე და მესამე (1973) პრიზიორი.

ამირან მუზაევი (დ. 1950). ევროპის ჩემპიონი (1974).

აბდულა ბარკალაევი (დ. 1953). ევროპის ჩემპიონი და მეორე პრიზიორი (1975).

ოლეგ ჭურაბიანი (დ. 1955). ევროპის ჩემპიონი (1977) და მეორე პრიზიორი (1976).

დილარ ხაბულიანი (დ. 1955). ევროპის ჩემპიონი (1977).

ამირან ოზბაიძე (დ. 1952). ევროპის ჩემპიონი (1977).

ბორის გოგიჩაიშვილი (დ. 1957). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1989).

დავით ხახალეიშვილი (დ. 1971). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1990).

ზაზა დაბრუნდაშვილი (დ. 1970). ევროპის ჩემპიონი (1990).

ვლადიმერ დგებუაძე (დ. 1969). ევროპის ჩემპიონი (1990).

დავით ბოდაველი (დ. 1957). მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1981), ევროპის ჩემპიონი (1986).

წყალში ხტომა

ბორის პოლულიახი (დ. 1938). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1962).

ანა როსტიაშვილი (დ. 1971). ევროპის თასის მფლობელი (1989).

ჭადრაკი

თამაზ გიორგაძე (დ. 1947). ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი.

ელენე ახმილოვსკაია (დ. 1957). საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონი (1986) და ორგზის მეორე პრიზიორი (1988, 1990). მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1986).

ქეთევან არახამია (დ. 1968). საჭადრაკო ოლიმპიადის მეორე პრიზიორი (1990).

* * *

უბანი — სპორტსმენთა სამჭედლო

ოლასკურა დღეს ქუთაისის ერთ-ერთი მთავარი უბანია. სახელწოდება უბანმა მიიღო პატარა მდინარისაგან, რომელიც ქალაქს დასავლეთით ჩამოუდის.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც მეზობელი სოფლებიდან გლეხებმა ქუთაისში დაიწყეს ჩამოსახლება, მათი ერთი ნაწილი ოლასკურას მიდამოებში დასახლდა.

ოლასკურა და მისი მიდამოები საუცხოო რელიეფით ადრეც იქცევდა ქუთაისელთა ყურადღებას. იქ, სადაც დღეს ბავშვთა საავადმყოფოა, ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ქუთაისის „მარულის“ საზოგადოებას კეთილმოწყობილი იპოდრომი ჰქონდა და აქ სისტემატურად მართავდა კიდეც შეჯიბრებებს საცხენოსნო სპორტის ეროვნულ და კლასიკურ სახეობებში. 1910-იან წლებში, როცა ოლასკურელებმა პირველი ე. წ. „ველური“ ფეხბურთის გუნდი შექმნეს, აღნიშნულ მიდამოებში საფეხბურთო მატჩებს ატარებდნენ და საპაექროდ იწვევდნენ ბალახვნელ, საფიჩხიელ, გოჭოურელ, ჭომელ ფეხბურთელებს.

მდიდარმა სპორტულმა ტრადიციებმა ამ უბანში ხელი შეუწყო სახელოვან სპორტსმენთა აღზრდასა და დაოსტატებას: ჯერ კიდევ, ჩვენი საუკუნის დასაწყისში ოლასკურის მკვიდრმა, ცნობილმა მონადირემ ივანე გეგიამ არაერთხელ ისახელა თავი ტყვიის მსროლელთა დიდ ტურნირებში. მას ტკბილ მოგონებად შემორჩა 1909 წელს პარიზში გამართული ტყვიის მსროლელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც პირველი ადგილი დაიკავა. საყურადღებოა, რომ ცოტა უფრო გვიან, ივანე გეგიას პეტერბურგის დიდ საერთაშორისო ტურნირშიც გაუმარჯვია.

20-იანი წლების ქუთაისში ცნობილი ცხენოსნები — ძმები ვასილ და ისიდორე ეფრემიძეები, იოსებ ჩიხლაძე და სხვები წარმატებით ასპარეზობდნენ სხვადასხვა რანგის ტურნირებში. იმ პერიოდის ცნობილი ფალავნები: ს. კაკაურიძე, აზ. ზვიადაძე, ა. ფარულავა, წარმატებით გამოდიოდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ ბაქოში, ორჯონიკიძეში, როსტოვში და სხვა ქალაქებში გამართულ დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში.

30-იან წლებში ოლასკურას მიდამოებში არსებული ქალაქის ერთადერთი აეროდრომი ახალგაზრდობის ფიზიკური და სულიერი წრთობის ერთ-ერთი უმთავრესი ბაზა იყო.

ოლასკურაზე გაზრდილმა ბიჭებმა: მ. დადევანმა, ვ. ქორქოლიანმა, დ. კოლუაშვილმა და გ. ბერაძემ 1937 წელს წარმატებით დაასრულეს საავიაციო და საპარაშუტო კურსები. საყურადღებოა, რომ მ. დადევანი და ვ. ქორქოლიანი ქართული ავიაციის ისტორიაში 1938 წელს პირველები გადაფრინდნენ მარშრუტით ქუთაისი-მესტია-ქუთაისი.

1946 წელს ქართული ფეხბურთის ისტორიაში ქუთაისის „დინამო“ პირველად გახდა რესპუბლიკის ჩემპიონი. ამ გამარჯვებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს ოლასკურელებმა — გ. კოვზიანიძემ, ქ. ეფრემიძემ და გ. იობიძემ.

50-იან წლებში წარმატებით ასპარეზობდა ცნობილი ტყვიის მსროლელი გ. ხვედელიძე, ხოლო ცნობილ ძალოსან ს. ჯიმშელეიშვილს არაერთი გამარჯვება უზეიმია.

ასევე წლების მანძილზე წარმატებით გამოდიოდნენ რ. ხუროძე, ძმები: ჯ. და ა. ედიბერიძეები, რ. გვენეტაძე და სხვები.

60-იანი წლებიდან ამ უბნელებმა საერთაშორისო სარბიელზეც სცადეს ძალები და საკმაოდ წარმატებითაც. ცნობილმა ფალავანმა გ. გობეჯიშვილმა 1958 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო შემდეგ მრავალ საერთაშორისო ტურნირში ასახელა ჩვენი რესპუბლიკა. იმავე პერიოდში მან იაპონიის დიდ საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა და ამომავალი მზის ქვეყნის მრავალათასიან სპორტის მოყვარულთა სიმპათიები დაიმსახურა. ჭიდაობის ვეტერან გულშემატკივრებს დღესაც კარგად ახსოვთ ცნობილი ოსტატის ა. ჩიხლაძის საუცხოო, შესანიშნავი ტექნიკა იშვიათი სისწრაფე და კარგი ფიზიკური მომზადება.

მოკრივეებმა: მ. სვანიძემ, ზ. მაჭავარიანმა და რ. რიაბესამ ბევრჯერ გაგვახარეს ბრწყინვალე გამარჯვებით. ცნობილი ოსტატები: მ. სვანიძე და ზ. მაჭავარიანი წლების მანძილზე საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები იყვნენ და აღტაცებაში მოჰყავდათ მაყურებლები შვეციის, ფინეთის, ავსტრიის და სხვა ქვეყნების რინგზე.

არაერთი სასახელო გამარჯვება მოუპოვებია 60-იანი წლების ცნობილ ფალავანს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, ა. ცხოვრებოვს.

ახლა ფეხბურთელებს აღარ იკითხავთ? — ოლასკურაზე აღიზარდნენ და დაოსტატდნენ ტყავის ბურთის ცნობილი ოსტატები: გ. და ლ. ნოდიები, გ. დუნდუა და ლ. თოდაძე, ე. იმედაძე, ვ. გუბელაძე, ბ. ჩოგოვაძე, ქ. კუტივაძე, ჯ. თოფურია, ზ. კვიცარიძე და სხვები, რომლებიც წარმატებით იცავდნენ ქუთაისის „ტორპედოს“ და „იმერეთის“ ღირსებას. საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელებმა დ. თოდაძემ და ბ. ჩოგოვაძემ არაერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი აღუზარდეს ქუთაისის „ტორპედოს“ და თბილისის „დინამოს“.

ოლასკურის მკვიდრნი არიან 60-იანი წლების მძლეოსნები, რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონები და პრიზიორები: ი. და კ. აბზიანიძეები, მოჭიდავე ლ. ფხაკაძე, ავტოსპორტის თვალსაჩინო წარმომადგენლები: შ. და ბ. ჯიქიები, ცნობილი კალათბურთელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ო. თვალავაძე.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ მოფარიკავე გ. ჩიხლაძე.

საყოველთაოდ ცნობილია, ახალგაზრდა ფალავანის უ. თევდორაძის წარმატებები. იგი ევროპის ჩემპიონია და ჭაბუკობიდანვე მიიქცია სპეციალისტების ყურადღება. ასევე წარმატებით ასპარეზობდა რინგზე ახალგაზრდა ოსტატი ა. ჯიმშელეიშვილი. სამწუხაროდ, ნიჭიერმა მოკრივემ ადრე დატოვა სარბიელი.

ქუთაისელ მორაგბეთა გუნდ „აია-ს“ წარმატებაში დიდი იყო მოგვარეების — ვახტანგ და ბადრი შვანგირაძეების წვლილი.

რაც მთავარია, ოლასკურა თავის სპორტულ ტრადიციებს დღესაც არ ღალატობს. მოდის ახალი თაობა, რომელიც, გვჯერა, სულ მალე თავის სიტყვას იტყვის დიდ სარბიელზე.

ზურაბ ჯავახაძე

როგორ აირჩიეს ნაგანო?

ზუსტად ერთი კვირის წინ, შაბათს, დილის 9 საათზე მუშაობა განაახლა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 97-ე სესიამ, რომელსაც უნდა აერჩია 1998 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი. დღეს, კვირისთავზე, უკვე ვიცით, რომ ეს საპატიო მისია იაპონიის ქალაქ ნაგანოს დაეკისრა, მაგრამ 15 ივნისს, დილით, ცხადია, არავინ არაფერი იცოდა, მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქზე და მოვლენებიც მთელი დღის განმავლობაში საკმაოდ დრამატულად ვითარდებოდა.

კანდიდატების პრეზენტაცია დილიდანვე დაიწყო. 9 საათსა და 15 წუთზე სხდომათა დარბაზის სცენაზე ადგილი დაიკავა შვეციის პრემიერ-მინისტრმა ი. კარლსონმა, რომელმაც ვრცლად და დასაბუთებულად წარმოადგინა ესტერსუნდის პრეტენზიები. მოკლე ინფორმაციებით გამოვიდნენ, აგრეთვე, შვეციის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, პრინცი ბერტილი და ოლიმპიური ჩემპიონი ციგურაობაში ტ. გუსტაფსონი.

ესტერსუნდის დელეგაციის შემდეგ ადგილს იკავებენ ესპანეთის საკურორტო ქალაქ ხაკის წარმომადგენლები: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. სერა, ქალაქის მერი ა. აბადია, ესპანეთის ეოკ-ის პრეზიდენტი და სოკ-ის წევრი კ. ფერერი, სამთომოთხილამურე ბ. ფერნანდეს-ოჩოა, სახელგანთქმული ოლიმპიური ჩემპიონის ოჩოას მეუღლე.

მესამე კანდიდატი დილის სხდომაზე იტალიის აოსტა იყო, რომელიც დელეგატებს წარუდგინა სოკ-ის წევრმა, რომის მერმა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ გათვითცნობიერებულმა მოღვაწემ ფ. კარარომ, აგრეთვე, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის წევრმა ბ. მილანეზიომ.

მაგრამ მთავარი მოვლენები განვითარდა დღის მეორე ნახევარში, როცა დელეგატები ხელახლა შეიკრიბნენ სხდომათა დარბაზში შესვენების შემდეგ. როგორც შემდგომში ჟურნალისტებმა გვაუწყეს, ნაგანოს დელეგაციის პრეზენტაცია ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული და სოკ-ის წევრებზე გარკვეული ემოციური ზეგავლენა მოახდინა. ნაგანოს წარდგინებაში მონაწილეობდნენ იაპონიის ეოკ-ის წევრები: გ. იოშიმურა, ს. იოში და ცნობილი ფიგურისტი მ. იტო.

სულ ბოლოს, სიტყვა აშშ-ის წარმომადგენლებს მიეცათ, რომლებიც რეკლამას უწევდნენ ზამთრის პოპულარულ კურორტ სოლტ-ლეიკ-სიტის. როგორც ჟურნალისტებმა აღნიშნეს, ეს პრეზენტაცია, არც ემოციური თვალსაზრისით და არც საქმიანი მხარით, არ ჩამორჩებოდა იაპონელთა წარდგინებას. უფრო მეტიც, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. უელშმა ვიდეოფირის დახმარებით დელეგატებს საშუალება მისცა გაცნობოდნენ ქალაქს, მის სპორტულ ბაზებს,ინფრა სტრუქტურას, ერთხმად აღინიშნა, რომ კანდიდატს დღესვე შეუძლია ოლიმპიადის მასპინძლობა. შთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით, პრეზიდენტმა ბუშმა სოკ-ის წევრებს ვიდეოფირით მიმართა, პრეზენტაცია ამით დამთავრდა.

მერე დელეგატებმა მოისმინეს კენჭისყრასთან დაკავშირებული განმარტებები. აღინიშნა, რომ რომელიმე კანდიდატის გამარჯვებისათვის საჭირო იყო 45 ხმის მოგროვება (სესიას ამ დღეს 88 დელეგატი ესწრებოდა). ითქვა ისიც, რომ ყოველი ტურის შემდეგ ბოლო ადგილზე გასული კანდიდატი სწყვეტდა ბრძოლას.

პირველი ტური: ნაგანო — 21 ხმა, ხაკა — 19, ესტერსუნდი — 18, სოლტ-ლეიკ-სიტი და აოსტა 15-15.

მეორე ტური: ეს, ფაქტობრივად, დამატებითი ტური იყო სოლტ-ლეიკ-სიტისა და აოსტას შორის. ამერიკის ქალაქმა თავის მეტოქეს დიდი უპირატესობით აჯობა — 59:29.

მესამე ტური: ნაგანო — 30, სოლტ-ლეიკ-სიტი 27, ესტერსუნდი — 25, ხაკა — 5.

მეოთხე ტური: ნაგანო — 36, სოლტ-ლეიკ-სიტი 29, ესტერსუნდი — 23.

მეხუთე ტური: ნაგანო — 46, სოლტ-ლეიკ-სიტი — 42.

ბირმინჰემის სესიაზე ბევრი ორგანიზაციული საკითხი განიხილეს. სოკ-ის აღმასკომის წევრად აირჩიეს უნგრელი პ. შმიტი, სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტად ვ. სმირნოვი (სსრკ).

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს ნამიბია და ახლა, წევრთა საერთო რაოდენობამ 166-ს მიაღწია. სოკ-ის ახალ წევრებად აირჩიეს: მარიო ვასკეს რანია, მექსიკის ეოკ-ის, პანამერიკული სპორტული ორგანიზაციისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების მსოფლიო ასოციაციის პრეზიდენტი), ჟაკ როგე (ბელგიის ეოკ-ის პრეზიდენტი), თომას ბახი (გერმანელი, 1976 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ფარიკაობაში), დენის ოსვალდი (აკადემიური ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი, შვეიცარია). სოკ-ის საპატიო წევრები გახდნენ ვ. დაუმე და გ. ჰაინცე (ორივე — გერმანია).

1991 წლის ოლიმპიური თასი იაპონიის ოლიმპიურ კომიტეტს გადაეცა, ოქროს ოლიმპიური ორდენით დაჯილდოვდა გრაფი დე ბომონი (საფრანგეთი), ვერცხლის მედლებით კი თვრამეტი კაცი, მათ შორის, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კრივში თ. სტივენსონი (კუბა), ბრიტანეთის ოლიმპიური ასოციაციის თავმჯდომარე სერ ა. გოლდი, ფრანგი ჟურნალისტი მ. კლერი, მისი თურქი კოლეგა თ. ბაიათლი, საერთაშორისო ფედერაციების პრეზიდენტები...

გადაწყდა, რომ სოკ-ის მომდევნო, 98-ე სესია ჩატარდეს ალბერვილის ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნის წინ.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

არდადეგები ევროპაში

ევროპის ბევრ ქვეყანაში დამთავრდა 1990-1991 წლების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი. გთავაზობთ რამდენიმე საბოლოო შედეგს (უფრო ზუსტად პირველ ექვს ადგილს)

იტალია

	თ.	მ.	ფ.	წ.	ქ.
„სამპდორია"	34	20	11	3	51
„მილანი"	34	18	10	6	46
„ინტერი"	34	18	10	6	46
„ჯენოვა"	34	14	12	8	40
„ტორინო"	34	12	14	8	38
„პარმა"	34	13	12	9	38

საუკეთესო ბომბარდირი: ჯანლუკა ვიალი („სამპდორია") — 19 გოლი. პირველი ლიგა დატოვეს „ლეჩემ", „პიზამ", „ჩეზენამ", „ბოლონიამ".

საფრანგეთი

„მარსელი"	38	22	11	5	55
„მონაკო"	38	20	11	7	51
„ოსერი"	38	19	10	9	48
„კანი"	38	12	17	9	41
„ლიონი"	38	15	11	12	41
„ლილი"	38	11	17	10	39

ბომბარდირი: ჟან პიერ პაპენი („მარსელი") — 23 გოლი. პირველი ლიგა დატოვეს „რენმა" და „ბორდომ".

გფრ

„კაიზერსლაუტ."	34	19	10	5	48
„ბაიერნი"	34	18	9	7	45
„ვერდერი"	34	14	14	6	42
„აინტრ". (ფრანკ.)	34	15	10	9	40
„ჰამბურგი"	34	16	8	10	40
„შტუტგარტი"	34	14	10	10	38

ბომბარდირი: როლანდ ვოლფარტი („ბაიერნი") 21 გოლი. პირველი ლიგა დატოვეს: „ბაიერმა" (იურდინგენი) და „ჰერტამ" (ბერლინი).

ესპანეთი

„ბარსელონა"	38	25	7	6	57
„ატლეტ." (მადრ.)	38	17	13	8	47
„რეალი" (მადრ.)	38	20	6	12	46
„ოსასუნა"	38	15	15	8	45
„სპორტინგი"	38	16	12	10	44
„ოვიედო"	38	13	16	9	42

ბომბარდირი: ემილიო ბუტრაგენიო — 19 გოლი. პირველი ლიგა დატოვეს: „კასტელონიმ" და „ბეტისმა".

პორტუგალია

„ბენფიკა"	38	32	5	1	69
„პორტუ"	38	31	5	2	67
„სპორტინგი"	38	24	8	6	56
„ბოავიშტა"	38	15	11	12	41
„სალგეიროში"	38	12	12	14	36
„ბეირა მარი"	38	12	12	14	36

პირველი ლიგა დატოვეს „ტირსენსემ", „სეტუბალმა", „ეშტრელამ", „ბელენესეშმა" და „ნასიონალმა".

ბელგია

„ანდერლეხტი"	34	23	7	4	53
„მეხელენი"	34	20	10	4	50
„გენტი"	34	20	7	7	47
„ბრიუგე"	34	18	11	5	47
„ჟერმინალი"	34	17	8	9	42
„სტანდარდი"	34	16	10	8	42

უმაღლესი ლიგა დატოვეს: „სენტ-ტრიუდენმა" და „ბერსკოტმა".

ინგლისი

„არსენალი"	38	24	13	1	83
„ლივერპული"	38	23	7	8	76
„კრისტალ პალასი"	38	20	9	9	69
„ლიდს იუნაიტ."	38	19	7	12	64
„მანჩესტ. სიტი"	38	17	11	10	62
„მანჩესტ. იუნაიტ."	38	16	12	10	60

„ბარსელონა" პლუს კრუიფი

იმ ორმოცდაათ საფეხბურთო კლუბს შორის, რომლებიც სხვადასხვა წლებში ევროპული საკლუბო ტურნირების მთავარ პრიზებს ფლობდნენ, ყველაზე წინ დგას ორი ესპანური კლუბი — მადრიდის „რეალი" და „ბარსელონა". მადრიდელები ყველაზე ხშირად იმარჯვებდნენ ევროპულ ტურნირებში — მათ რვაჯერ გაიმარჯვეს ამ ასპარეზობებში, „ბარსელონა" კი თავის მუდმივ მეტოქეს მცირედით ჩამორჩა — მშობლიურ კატალონიას ექვსჯერ „ასტუმრა" საპატიო პრიზები.

ამჯერად, სწორედ „ბარსელონაზე" გვინდა ვისაუბროთ. მარტო ევროპულ ტურნირებში გუნდმა 228 თამაში ჩაატარა, რომელთაგან 122 მოიგო, 48 ფრედ დაასრულა და 58 შეხვედრაში დამარცხებულმა დატოვა მოედანი. გატანილ და მიღებულ ბურთებს შორის სხვაობა 455:250 აშკარად მიანიშნებს გუნდის შემტევ სტილზე.

„ბარსელონას" გამორჩეულ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს გამარჯვებები ევროპულ ტურნირების ფინალებში დიუსელდორფის „ფორტუნასთან" (1979 წ.), ბელგიის „ლიეჟთან" (1982 წ.) და წელიწადნახევრის წინათ იტალიის „სამპდორიასთან". ყველა ეს წარმატება თასების მფლობელთა თასის გათამაშებაშია მოპოვებული.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ „ბარსელონა" ფეხბურთის კატალონიური სკოლის ტიპიური წარმომადგენელია, რომელმაც არაერთი ტექნიკური, მაღალი კლასის ფეხბურთელი აღზარდა. გუნდის ახლანდელ შემადგენლობაში გამოირჩევიან ქვეყნის ნაკრების მოთამაშეები, მცველები: ნანდო და სერნეა, მათი „მეზობელი" დაცვის ხაზიდან — ოცი წლის ლოპესი, რომელსაც სპეციალისტები სასიამოვნო აღმოჩენად მიიჩნევენ. მინდვრის შუა ნაწილში ჩინებულად მოქმედებენ ნახევარმცველები: გოიკოეჩეა და ბაკერო; შეტევის ხაზში გამოირჩევა 186 სანტიმეტრი სიმაღლის სალინასი. კარგა ხანია, გუნდის დიდი იმედია მეკარე სუბისარეტა, რომელმაც ესპანეთის ნაკრებში ორმოცდაშვიდი მატჩი ითამაშა.

მაგრამ, წარსულსა და სადღეისო მდგომარეობასთან ერთად, უეჭველად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ბარსელონა" ერთ-ერთი პირველი კლუბია მსოფლიოში რომელმაც თამამად და ყოველგვარი ფინანსური სიფრთხილის გარეშე „შეიხედა" უცხოურ საფეხბურთო ბაზარში მაშინ, როცა უცხოელი „ლეგიონერების" მოწვევამ ის-ის იყო მოიკიდა ფეხი. ამჟამად შეგვიძლია ერთგვარად შევაჯამოთ შთამბეჭდავი შედეგები: „ბარსელონაში" სხვადასხვა დროს ოცზე მეტი ცნობილი უცხოელი ფეხბურთელი გამოდიოდა. წარსულ წლებს თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ იქ თამაშობდნენ უნგრელები: კოშიჩი და ციბორა, ავსტრიელი კრანკლი, არგენტინელი მარადონა, დანიელი სიმონსენი, ინგლისელი ლინეკერი. ბოლო წლებში მათ შეემატნენ ჰოლანდიელი რ. კუმანი, დანიელები: მელბიუ და ლაუდრუპი, ევროპის საუკეთესო ბომბარდირის პრიზის „ოქროს ბუცის" მფლობელი, ბულგარელი სტოიჩკოვი.

მდიდარი კლუბის ხელმძღვანელებმა არც ავტორიტეტული მწვრთნელების „შეძენაში" გამოიჩინეს სიძუნწე. „ბარსელონაში" მუშაობდნენ სახელგანთქმული არგენტინელი მენოტი, ჰოლანდიელი მიხელსი, გერმანელი ლატეკი, ესპანელი ერერა. ახლა კი გუნდის საჭე ჰოლანდიის და მსოფლიო ფეხბურთის ყოფილ ლიდერს კრუიფს ჩააბარეს.



დიდ ჰონორარს იღებს, მაგრამ...

როგორც ცნობილია, შარშან ზეპ პიონტეკმა (გერმანია), რომელმაც სახელი გაითქვა დანიის ნაკრებთან ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობით, თურქეთის ფეხბურთის ფედერაციასთან მოაწერა კონტრაქტს ხელი. იგი სათავეში ჩაუდგა თურქეთის ეროვნულ ნაკრებს და ვალდებულება იკისრა, კარგად მოამზადოს იგი ჯერ ევროპის, ხოლო შემდეგ მსოფლიო პირველობისათვის.

ამაში პიონტეკი, რომელიც ახლა 51 წლისაა, წლიურად დიდ ჰონორარს — 300 ათას მარკას იღებს.

მაგრამ ჯერჯერობით ეს შესანიშნავი სპეციალისტიც კი ვერაფერს გახდა — არ ვიცით, როგორ ითამაშებენ თურქები მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში, მაგრამ ახლანდელი ევროპის პირველობის შესარჩევ თამაშებში კი სრულიად უიმედოდ გამოიყურებიან.

პრეზიდენტმა მატჩი გაყიდა...

პარაგვაის პრესაში გაისმის ეროვნული ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის — ხესუს მანუელ პალარესის მძაფრი კრიტიკა. მას ბრალად სდებენ, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის განზრახ დათმობას, კოლუმბიელებისათვის და ამაში ერთი მილიონი დოლარის აღებას.

პრეზიდენტი თანამდებობიდან ჯერ კიდევ შარშან გადადგა, მაგრამ ჟურნალისტები განაგრძობენ მის დადანაშაულებას.

ტალანტებს ეძებს

გეორგ ბუშნერი, რომელიც ადრე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების მწვრთნელი იყო, ახლა ბუნდესლიგის ცნობილი კლუბის „ვერდერის" (ბრემენი) თანამშრომელია. მას ევალება ამ კლუბისათვის ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნა.

ჩემპიონების მწვრთნელი

ძნელი სათქმელია; არის კიდევ ისეთი მწვრთნელი, რომლის შეგირდებს 17-ჯერ მოეპოვებინოთ ჩემპიონობა?! ავსტრიელი ერნსტ ჰაპელი, რომელიც ახლა „ფკ ტიროლს" წვრთნის, 1969 წელს როტერდამის „ფეიენოორდს" ედგა სათავეში, როცა იგი ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა. ზედიზედ სამჯერ (1976, 1977 და 1978 წლებში) ბელგიის ჩემპიონატში თავი ისახელა „ბრიუგემ". 1981 და 1982 წლებში ჰაპელის ხელმძღვანელობით „ჰამბურგერ შპორტფერაინმა" გაიმარჯვა ბუნდესლიგაში. დანარჩენ წარმატებებს მან ძირითადად ავსტრიაში მიაღწია.

დიდი კლუბები

ბრაზილიაში დაიწყო წიგნების სერიის გამოცემა დიდი კლუბების შესახებ. მწერალმა ედილბერტო კუტინიომ, რომელსაც ეკუთვნის საინტერესო წიგნი „ადიოს, მარაკანა!" („ნახვამდის, მარაკანა!"), ახლა გამოაქვეყნა ახალი ნაშრომი „ნაკაო რუბრო-ნეგრა" („შავკანიანები დამნაშავე არიან"), რომელიც პოპულარულ კლუბ „ბოტაფოგოს" ეძღვნება.

„ეჰ, გული მიკვნესის!"

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, განთქმულმა მეკარემ შილტონმა, ასაკის გამო, შეწყვიტა ნაკრებში გამოსვლა. ეს, რა თქმა უნდა, წინასწარ იყო მოსალოდნელი, ეძებდნენ კიდეც დიდი მეკარის შემცვლელებს, მაგრამ...

როცა კარში ხან ვუდსი („გლაზგო რეინჯერსი") მოსინჯეს, ხან სიმანი (ლონდონის „ქუინზ პარკ რეინჯერსი") და ბიზენტი (ლონდონის „ჩელსი"), ინგლისის ნაკრების მაშინდელ მწვრთნელს ბობი რობსონს მიაწერეს ფრაზა „ეჰ, გული მიკვნესის!". ნაკრების ახლანდელ ხელმძღვანელობასაც შეუძლია, დაახლოებით იგივე გაიმეოროს.

„ყურადღება — ქერათმიანებს!"

„შვეციის ნაკრები ძალიან ძლიერია, ყურადღება მიაქციეთ ქერათმიანებს!" ეს სიტყვები ერთი წლის წინ ბრაზილიის ნაკრების მაშინდელმა მწვრთნელმა სებასტიანო ლაზარონიმ თქვა. ახლა, როცა შვეციის ნაკრებს, როგორც მასპინძელს, ევროპის ჩემპიონატის ფინალში შესარჩევი თამაშების გარეშე გამოსვლის უფლება აქვს, ლაზარონის სიტყვები, ცხადია, ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას.

ოცნებები, ოცნებები

სტამბოლის კლუბ „გალათასარაის" ხელმძღვანელობამ საკმაო ფინანსური შესაძლებლობები გამონახა და, როგორც ამბობენ, მაღალი დონის კოლექტივის შექმნას აპირებს.

— ეს უნდა იყოს ნამდვილი სუპერკლუბი — ამბობენ „გალათასარაის" მესვეურები, — რომელიც ევროპულ ასპარეზზე იბრწყინებს.

როგორ, ვისი მეშვეობით? რა თქმა უნდა, თურქები უცხოელი ვარსკვლავების მოზიდვის იმედად არიან. აპირებენ, თუ ეს გამოუვიდათ, შეიძინონ ჰოლანდიელი მეკარე ვან ბროკელენი, ცნობილი გერმანელი ნახევარმცველი ლიტბარსკი და ევროპული ფეხბურთის ერთ- ერთი საუკეთესო სნაიპერი, ავსტრიელი პოლსტერი.

მთავარია გულიტი

ჰოლანდიურ ფეხბურთს საკმაოდ მძიმე დღეები დაუდგა. ნაკრები უფერულად გამოვიდა უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატზე, საკმაოდ უღიმღამოდ თამაშობს ევროპის ახლანდელი პირველობის შესარჩევ ციკლშიც.

როგორ აფასებენ სპეციალისტები ამ გუნდში შექმნილ სიტუაციას? აზრი გამოთქვა ახლო წარსულში განთქმულმა ფეხბურთელმა და ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა რუუდ კროლმა, რომელიც ახლა შვეიცარიაში მუშაობს და ჟენევის „სერვეტს" უდგას სათავეში. მისი აზრით, გუნდში კიდევ კარგა ხანს გადამწყვეტ როლს შეასრულებს რუუდ გულიტი. ყველაფერი მის საბრძოლო მზადყოფნასა და ფიზიკურ მომზადებაზე იქნება დამოკიდებული. გულიტის გარეშე მთავარი სნაიპერის, მარკო ვან ბასტენის თამაში აშკარად უფერულდება.

„ადამიანი-რაკეტა" „სანჭამს" იცვლის

ორ წელიწადზე მეტი დრო გასულა... თითქოსდა ცოდვა მონანიებულია. სარბენ ბილიკს დიდხანს ჩამოცილებული „ადამიანი-რაკეტა" კვლავ გამოჩნდა სარბიელზე, მაგრამ, ჩანს, წარსულის აჩრდილი კიდევ დიდხანს დაუწყებს დევნას, მაშინაც კი, თუ ბენი უძლიერესის ტიტულს დაიბრუნებს.

სეულის ოლიმპიადაზე სამარცხვინო „ჩავარდნამ" დიდი უსიამოვნება მიაყენა არა მარტო თვით ბენ ჯონსონს, არამედ მის მწვრთნელს, (ახლა უკვე ყოფილს) ჩარლი ფრანკისსაც, რომელიც სპეციალისტთა წრეში „ჩარლი-ქიმიკოსის" სახელით არის ცნობილი. სწორედ მას ეკუთვნის მძლეოსნებისათვის ანაბოლიკების მისაღები პროგრამის „საავტორო მოწმობა". იგი იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ თავისუფლად შეიძლებოდა წონაში დასაკლები დიეტის წესებივით გამრავლება. თუმცა, ანტისადოპინგო აკრძალვების დავიწყებაც არ შეიძლებოდა.

ფრანკისის ყველა აღსაზრდელისთვის აუცილებელი იყო ერთადერთი მოთხოვნის შესრულება: „აუცილებლად მიიღებ ქიმიას და უეჭველად მოიგებ! წინააღმდეგ შემთხვევაში, გამარჯვების ნაკლები შანსი გექნება". ოცდაოთხი ათლეტიდან ათმა პირველი გზა ირჩია და უმართლებდათ კიდევაც. მათ შორის იყო ჯონსონიც.

რასაკვირველია, როდესაც ეს ყველაფერი გამომჟღავნდა, მძლეოსნობის საერთაშორისო კავშირმა განაცხადა, რომ დისკვალიფიკაციით დასჯიდა „ჩარლი-ქიმიკოსის" ყველა შეგირდს, მაგრამ, მათდა საბედნიეროდ, ეს მუქარა არ შესრულებია. თუმცა, ფრანკისის, როგორც სასწაულმოქმედი მწვრთნელის, რეპუტაცია გვარიანად შეილახა.

გერმანულ ჟურნალ „შპიგელისათვის" მიცემულ ინტერვიუში ფრანკისმა განაცხადა: „ანაბოლიკების გარეშე ბენი საშუალო დონის მორბენალი იქნებოდა. იგი კარგ შედეგს მთელი სეზონის განმავლობაში, ერთხელ, მაქსიმუმ ორჯერ, მიაღწევდა. მისთვის არცთუ დიდი ნორმა იყო დაწესებული — პრეპარატის 1500 მილიგრამი წელიწადში, მაშინ, როცა ძალოსნები 165 ათას მილიგრამს იღებენ. მაგრამ მთავარი ის არის, თუ როგორ რეაგირებს სპორტსმენის ორგანიზმი წამალზე, რა შედეგს იძლევა".

...იმაში ნამდვილად არ შეიძლება ეჭვის შეტანა, რომ ჩარლი სხვებთან შედარებით უკეთესად იცნობდა ყოფილ შეგირდს — ჯონსონი ხომ ცხოვრების დიდ ნაწილს სტადიონზე, მწვრთნელის გვერდით ატარებდა. იმ დარჩენილ მცირე დროში, რაღა ხდებოდა. ახდენდა თუ არა ზეგავლენას ძლიერმოქმედი პრეპარატი ათლეტის მოქმედებაზე?

— ანაბოლიკებს მართლაც შესწევთ უნარი, აგრესიული გახადონ ადამიანი — თქვა ჩარლზ ფრანკისმა. — ისეთი შემთხვევაც მახსოვს, როცა ბენ ჯონსონი სასტარტო პისტოლეტით ემუქრებოდა ვიღაც უცნობს. მაგრამ, ის დღე მისთვის პირდაპირ გიჟური იყო და ჯონსონს სხვა გზა არა ჰქონდა აბეზარი რეპორტიორისაგან თავის დასაღწევად. როგორც სპორტსმენი, ჯონსონი მართლაც აგრესიულია, მაგრამ ეს აბების გამო არ ხდებოდა. რაც შეეხება ქალებს, როგორც ჩემთვის ცნობილია, ბენი მათი დიდი მოტრფიალე იყო და ამაყობდა, რომ პირველად თითქოსდა ჯერ კიდევ ბავშმა შესცოდა. არა მგონია, იმ წლებში ბენს მასტიმულირებელი წამლები მიეღო.

ახლა მათი გზები სპორტში საბოლოოდ გაიყარა. თვით ჯონსონის განცხადებით, კანადის მძლეოსნობის კავშირის კლინიკაში, ხუთგზის შემოწმების შემდეგ იგი შეჯიბრებებზე დაუშვეს და რამდენჯერმე გაიმარჯვა კიდეც. სპეციალისტების აზრით, იგი სწრაფად იბრუნებს ჩვეულ ფორმას.

თუმცა მთავარი დუელი — ბენ ჯონსონსა და კარლ ლუისს შორის ჯერ კიდევ არ შემდგარა. იგი იმ ქვეყანაში გაიმართება, რომლის ხელისუფალნიც ყველაზე გულუხვნი აღმოჩნდებიან და ყველაზე სოლიდურ საპრიზო თანხებს გაიღებენ. ეს ქვეყანა, ალბათ, იაპონია იქნება — ბენს განზრახული აქვს ტოკიოს მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობა, შემდეგ ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში გამოსვლა.

ჯერჯერობით კი, საწვრთნელი ვარჯიშებიდან თავისუფალ დროს სახელგანთქმული მორბენალი სარეკლამო კონტრაქტებით გათვალისწინებულ საქმიანობას ასრულებს. რომელთა შემოსავალმა უკვე ოც მილიონ დოლარს მიაღწია.

მოამზადა ბელა ჯილაურმა

განა ეს ცოტაა?!

წელს ათი წელი სრულდება, რაც 39 წლის მუჰამედ ალიმ დასტოვა რინგი. მას შემდეგ, მან მხოლოდ ერთხელ მიიღო მონაწილეობა შოუმატჩში იაპონელ მოჭიდავე ინოკისთან.

მაგრამ სახელი და დიდება ალისთვის ამ მატჩს როდი მოუტანია. ამ შეხვედრამ მას 3 მილიონი დოლარი შესძინა. დიახ, მუჰამედ ალი პირველი მოკრივე გახლდათ, ვინც მილიონების შოვნა დაიწყო. დღევანდელი სუპერმენები: ტაისონი, დუგლასი, თვით ფორმენი და ჰოლიფილდი სწორედ მისი მადლიერნი უნდა იყვნენ, რადგან მან დაადო ფასი მათ ოსტატობას.

მაგრამ დიდ გასამრჯელოებამდე ალიმ მძიმე და ძნელი გზ გაიარა. ეს გზა მარტო კრივის სარბიელით არ შემოფარგლულა. რინგზე მრავალ სახელმოხვეჭილ პიროვნებას უასპარეზია, კლეის უჩვეულო პოპულარობის მიზეზი კი არა მარტო სპორტია. 1960 წელს რომში 18 წლის ჭაბუკმა ოლიმპიური ოქრო მოიპოვა, 4 წლის მერე კი, სონი ლისტონის დამარცხების შემდეგ, პროფესიონალებში მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ამ დროისათვის ის მაყურებლებს სხვარიგადაც ამახსოვრებდა თავს: „მე ვარ ყველაზე ძლიერი და დაუმარცხებელი" — კასიუს კლეის ეს შემახილი ზოგს სიცილს ჰგვრიდა, ზოგს კი ერთობ აღიზიანებდა, რადგან მათ ეხილათ რინგის ლეგენდარული ოსტატები — ჯეიმს ტუნეი, ჯეკ დემპსი, ჯო ლუისი, როკი მარჩიანო და სხვები. მაგრამ გავიდა წლები და კლეიმ დაამტკიცა, რომ ის არათუ ჩამოუვარდებოდა აღიარებულ „ვარსკვლავებს", არამედ აღემატებოდა კიდეც მათ. კლეიმ სხვა მხრივაც გამოიჩინა თავი, როცა შეძლო ერთმანეთისთვის შეეთავსებინა კრივი, რელიგია და პოლიტიკა. ოსტატობის დახვეწასთან ერთად, მატულობდა გამარჯვებათა სერიაც, მაგრამ რინგი მისთვის მეორეხარისხოვან საქმედ იქცა, რადგან სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობდა რელიგიას. აღიარა რა მუსლიმანური სარწმუნოება და გაწევრიანდა „შავი პანტერის" ორგანიზაციაში, იგი გადაიქცა იმ მოძღვრად, რომელიც თავისი მუშტებით შთააგონებდა სამწყსოს თეთრკანიანებთან თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლას. არნახული სახელი მოუტანა მოკრივეს ვიეტნამის ომში წასვლაზე უარის თქმამ. მას ხუთი წლის საპატიმრო ელოდა, მაგრამ უკან მაინც არ დაიხია. ალის მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც ჩამოართვეს და ოთხი წლის განმავლობაში არ გააკარეს რინგს. სწორედ ამ ხანგრძლივი, იძულებითი პაუზის შემდეგ დაამტკიცა მან თავისი ძალმოსილება. დაბრუნების შემდეგ ჯერ ქულებით დამარცხდა მაშინდელ მსოფლიო ჩემპიონ ჯო ფრეზერთან, ხოლო შემდეგ ორჯერ აიღო რევანში მასთან, მერე ფორმენთან გადამწყვეტ მატჩში დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონობა. ალი მეორე იყო კრივის ისტორიაში ფლოიდ პატერსონის შემდეგ, ვინც დაკარგული ტიტულის დაბრუნება შეძლო. 36 წლის ალიმ 1978 წელს დაკარგა ჩემპიონის ტიტული ლეონ სპინქსთან ორთაბრძოლაში. ყველას ეგონა, ეს კარიერის დასასრული იყო, მაგრამ მან მოახერხა მატჩ-რევანშში გამარჯვება და მესამედ დაიბრუნა ჩემპიონის წოდება, რაც არც მანამდე და არც შემდგომ ვერავინ შეძლო. 1981 წელს ალიმ კვლავ მოსინჯა ძალა — ჩემპიონობის ტიტულის დაბრუნებას 40 წელს მიტანებული ეცადა, თავისზე ათი წლით უმცროს ლარი ჰოლმსს შეხვდა და დამარცხდა.

ამ წარმატებათა გარდა, რომელთაც ალის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოუპოვეს, მან სხვა ბრწყინვალე გამარჯვებასაც მიაღწია. ნოკაუტში გაგზავნა არაერთი ექსჩემპიონი — ფლოიდ პატერსონი, არჩი მური, ჯიმი ელისი, კენ მორტონი.

1979 წლამდე ალი საბჭოთა კავშირის საინფორმაციო საშუალებათა ხშირი „სტუმარი" იყო. ერთხელ კი, 1978 წელს, მოსკოვსა და უზბეკეთს ესტუმრა. მაშინ ბრეჟნევმა კრემლში მიიღო მუჰამედ ალი და საჩუქრად „თავისი" წიგნები გადასცა. მაგრამ საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეჭრის შემდეგ ის მთელ სამყაროს მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტისკენ მოუწოდებდა.

ვიეტნამისა და ავღანეთის ომების წინააღმდეგ გამოსვლები ალისთვის გამონაკლისი არ გახლდათ. 1985 წელს, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, ის ჩავიდა ლიბანში, რათა გამოეხსნა ოთხი თანამემამულე, თუმცა, მას ემუქრებოდა საშიშროება, რომ მათ რიგებს შეემატებოდა. რომელი ტერორისტი ჯგუფი იტყოდა უარს ასეთ „ძვირფას საჩუქარზე".

და აი, ახალი მოვლენა — ბაღდადში ალი სადამ ჰუსეინს შეხვდა და თხოვნით მიმართა — დაეტოვებინა ქუვეითი, მსოფლიო სისხლისღვრისაგან ეხსნა.

ისმის კითხვა: რას მიაღწია ალიმ ასეთი ვიზიტებით? ცხადია, ბევრს ვერაფერს, მაგრამ ვერც ბუშმა, ვერც გორბაჩოვმა, ვერც კარტერმა და რეიგანმა ვერ შეძლეს იმის გაკეთება, რასაც ალი ცდილობდა. ბოლოს და ბოლოს, ის არც ამერიკისა და არც საბჭოთა კავშირის პრეზიდენტია. იგი მხოლოდ და მხოლოდ მოკრივეა, თანმედროვეობის დიდი სპორტსმენი, გულღია და მართალი კაცი, რომელიც ძალმომრეობას ებრძვის. განა ეს ცოტაა?!

ეკა ნონიაშვილი

სურათზე: მუჰამედ ალისა და ჯო ფრეზერის ორთაბრძოლის მომენტი.

რედაქტორის მოადგილე
თამაზ მიგრიაული

ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში შემსვლელ აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის მიმღები კომისია აცნობებს აბიტურიენტებს, რომ ღია კარის დღე დანიშნულია 1991 წლის 30 ივნისს 12 საათზე.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 49.

დიდებული სანახაობის მოლოდინში

უიმბლდონი, როგორც მოგეხსენებათ, ლონდონის გარეუბანი გახლავთ, აქ გამართულ საჩოგბურთო შეჯიბრებებს კი ტრადიცია ჯერ კიდევ 1872 წელს ჩაეყარა. თუმცა, ძნელია ის პირველი ასპარეზობა, სადაც სულ 22 მონაწილე (და სულ 200 მაყურებელი!) იყო, ახლანდელს შეადარო. თანამედროვე საუკეთესო ოსტატი, რომ მოკლა, უიმბლდონს არ გამოტოვებს: შეელევა ავსტრალიის ღია ჩემპიონატს, „როლან გაროსსაც", მაგრამ უიმბლდონს?! ერთი სიტყვით, ეს გახლავთ ყველაზე პოპულარული საჩოგბურთო ტურნირი, რომელიც წლეულს 24 ივნისს დაიწყება.

უიმბლდონში ერთი გამარჯვებაც კი უზარმაზარ მიღწევად ითვლება. რაც შეეხება რეკორდს, დღემდე ვაჟთა შორის მიუღწევლად რჩება ინგლისელ უილიამ რენშოუს გასაოცარი „სერია" — 1881-86 წლებში მან ზედიზედ ექვსჯერ გაიმარჯვა ერთეულთა შორის, სულ კი შვიდჯერ იყო პირველი (უკანასკნელად 1889 წელს). ჩოგბურთის ექსპერტები ეჭვობენ, რომ ამ რეკორდს XX საუკუნეში ვინმე გააუმჯობესებს. გასათვალისწინებელია ბიორნ ბიორგის (შვეცია) დიდებული მიღწევაც: იგი არც ისე დიდი ხნის წინ, 1976-80 წლებში, ხუთჯერ ზედიზედ (!) გახდა უიმბლდონის ჩემპიონი. რა თქმა უნდა, რენშოუს დროინდელი კონკურენციის შედარებაც კი არ შეიძლება ახლანდელთან. ახლა ბორგი კვლავ დაუბრუნდა მოქმედ ჩოგბურთელთა რიგებს, მაგრამ, ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, რაიმე სერიოზული წარმატების მოპოვების შესაძლებლობა, ცხადია, აღარა აქვს...

ქალთა შორის წარსულში განსაკუთრებით აღნიშნავდნენ ამერიკელ ჰელენ უილს-მუდის და ფრანგ სიუზან ლენგლენის მიღწევებს. ამერიკელმა აქ 20-იანი წლების მიწურულსა და 30-იან წლებში 8-ჯერ მოიპოვა პირველი ადგილი ერთეულთა თანრიგში, ლენგლენი კი უფრო ადრე 6-ჯერ იყო პირველი. ამავე დროს, სიუზან ლენგლენმა თავისებური „რევოლუციაც" კი მოახდინა უიმბლდონში — მანამდე ჩოგბურთელი ქალები თამაშობდნენ, ცოტა არ იყოს, სპორტსმენებისთვის მოუხერხებელი გრძელი ქვედატანითა და გრძელსახელოებიანი პერანგით. როგორი იყო კონსერვატორი ინგლისელების გაოცება, როდესაც 1919 წელს ლენგლენი კორტზე მოკლე კაბით გამოვიდა, შემდეგ კი ტრადიციულ თეთრ შლაპაზეც აიღო ხელი და იგი ფერადი ლენტით შეცვალა.

განთქმულმა მარტინა ნავრატილოვამ უიმბლდონში ერთეულთა შორის უკვე ცხრაჯერ გაიმარჯვა, რაც დღემდე მიუღწეველი რეკორდი გახლავთ. ამასთან, უნდა აღინიშნოს მისი „სერია" 1982-87 წლებში, იმ პერიოდში, როცა მას საერთოდ, არ ჰყავდა სერიოზული კონკურენტი. დღეისათვის ნავრატილოვა, 34 წლის მიუხედავად, ცხადია, მაინც რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელად და ოცნებობს მეათედ გაიმარჯვოს უიმბლდონში. მან გაითვალისწინა თავისი ახლანდელი ფიზიკური შესაძლებლობები, სპეციალურად გამოტოვა „როლან გაროსი", რათა უიმბლდონს ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდა. ერთი სიტყვით, ვნახოთ... და აი, კიდევ რას აპირებს ნავრატილოვა: კრის ევერტმა (აშშ), რომელიც კარგა ხნის მანძილზე მისი მთავარი კონკურენტი იყო, სხვადასხვა ტურნირში 157-ჯერ მოიპოვა პირველი პრიზი, ნავრატილოვამ კი — 154-ჯერ (აქედან, რაც განსაკუთრებით დასაფასებელია, 18-ჯერ — „დიდი მუზარადის" ტურნირებში). ნავრატილოვას სურს, აჯობოს თავის „ისტორიულ" მეტოქეს (რომელიც, როგორც ცნობილია, უკვე აღარ თამაშობს), რასაც, ეტყობა, შეძლებს კიდეც.

გავიხსენოთ, უიმბლდონის კიდევ რამდენიმე რეკორდი. ვაჟთა შორის ინგლისელმა ჰ. დოჰერტიმ უიმბლდონში 13-ჯერ გაიმარჯვა: 5-ჯერ ერთეულთა თანრიგში, 8-ჯერ — წყვილებში (თუმცა, ეს იყო დიდი ხნის წინათ — 1897-1905 წლებში). 20-ჯერ (!) გაიმარჯვა განთქმულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ქალმა ბილი-ჯინ კინგმა — 6-ჯერ ერთეულებში, 10-ჯერ წყვილებში, 4-ჯერ შერეულ წყვილებში. ოთხჯერ იყო შემთხვევა, როცა ჩოგბურთელმა ვაჟმა სამივე „ფრონტზე" გაიმარჯვა: 1937 და 1938 წლებში ეს შეძლო დონ ბაჯმა (აშშ), 1939 წელს — რონ რიგსმა (აშშ), ხოლო უკანასკნელად, 1952 წელს — ფრენკ სეჯმენმა (აშშ). ქალთა შორის ეს ათჯერ მოხდა, უკანასკნელად, 1987 წელს. ეს მიღწევა მარტინა ნავრატილოვას ეკუთვნის. იყო არაერთი შემთხვევაც, როცა ჩემპიონებმა მთელი შეჯიბრების მანძილზე ერთი სეტიც კი არ დათმეს. ვაჟთა შორის ეს უკანასკნელად ბიორნ ბორგმა „მოახერხა" (21:0, 1976 წელს), ქალთა შორის — ნავრატილოვამ (14:0, 1986 წელს).

1969 წელს მართლაც რომ უცნაური რამ მოხდა. პანჩო გონზალესისა (აშშ) და მისი თანამემამულე ჩარლზ პასარელის შეხვედრა 112 გეიმის განმავლობაში გაგრძელდა. გონზალესმა 22:24, 1:6, 16:14, 6:3, 11:9. მართლაც რომ უნიკალური პაექრობაა!

1985 წელს უიმბლდონის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა გერმანელი ბორის ბეკერი. მაშინ იგი 17 წლისა და 7 თვის იყო. ქალთა შორის კი რეკორდი გაცილებით უფრო ადრე დამყარდა — 1987 წელს გაიმარჯვა ინგლისელმა შარლოტა დოდმა, რომელიც მაშინ 15 წლისა და 10 თვის იყო. ყველაზე ხანდაზმული ჩემპიონები კი იყვნენ ინგლისელი სტენლი გორი — 41 წლისა და 6 თვის (1909 წელს) და მისი თანამემამულე ანა სტერიი— 37 წლისა და 9 თვის (1908 წელს).

ყველაზე დიდხანს გასტანა ვაჟთა ერთეულების ფინალურმა მატჩმა 1982 წელს. ჯიმი კონორსმა (აშშ) 4 საათისა და 16 წუთის ბრძოლის შემდეგ მოუგო ჯონ მაკინროუს (აშშ) — 3:6, 6:3, 6:7, 6:4. ქალთა ფინალებიდან ჯერჯერობით ყველაზე ხანგრძლივი იყო 1970 წლის შეხვედრა მარგარეტ კორტსა (ავსტრალია) და ბილი-ჯინ კინგს (აშშ) შორის — 2 საათი და 28 წუთი. გაიმარჯვა კორტმა — 14:12, 11:9. ყველაზე ხანმოკლე ფინალები: ვაჟთა შორის — უილიამ რენშოუ — დონ ჰარტლი (ორივე — ინგლისი, 1881, წელი, სულ 37 წუთი), ქალთა შორის — ასევე ინგლისელები დ. ჩამბერსი — ჰ. ბუტბი (1911 წელი, სულ 25 წუთი).

1962 წელს უიმბლდონის ფინალში ითამაშა ჩვენმა განთქმულმა ჩოგბურთელმა ალექსანდრე მეტრეველმა.

პრეფერანსის მოყვარულთათვის

ეწყობა ტურნირი კლასიკურ პრეფერანსში „ნუკრის დიდი პრიზი" (საპრიზო ფონდი 10 000 მან.), რომელიც დაიწყება 6 ივლისს დილის 10 საათზე.

მსურველების რეგისტრაცია დაიწყება 24 ივნისიდან და გაგრძელდება 3 ივლისის ჩათვლით ახალგაზრდა მასწავლებელთა კულტურის ცენტრში (მ. კოსტავას ქ. №63. გმირთა მოედანი, II სართ. სახლის ქვეშ, შესასვლელი ეზოდან. 11 სთ-დან 19 საათამდე.) კენჭისყრა მოეწყობა 5 ივლისს 17 საათზე.

შესატანი თანხაა 300 მან.
ცნობებისათვის დარეკეთ:
36-28-05.

საინიციატივო ჯგუფი

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს მშენებლობისა და ნაგებობათა სამმართველოს თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა „საქოლიმპიადმშენის" მმართველი

ნოდარ დომენტის ძე ჯობავა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

„ლელოს" დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე, კორექტორები: მ. ძუძამიძე, ე. ხომერიკი.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს" სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომპლექსში, ხოშარაულის 29.